საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 2019 წლის 11 მარტი

დისციპლინური საქმე №204/17
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ და 75^6 მუხლის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა №-- პენიტენციური დაწესებულების დირექტორის -- --2017 წლის 20 ნოემბრის №-- საჩივრი.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №-- დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 15 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება (№--), მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახნსა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლის მხრიდან ახნსა-განმარტება წარმოდგენილი არ ყოფილა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს -- წლის -- -- №-- გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- -- წლის -- -- გათავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან (უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს თუ ,,მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.“

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული პირის მიმართ, ვინაიდან, არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №-- ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი